№ 153 ივლისი 19, ხუთშაბათი 1890 ივლისი 19, ხუთშაბათი № 153

ივერია

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	[illegible]	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія“ (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр. 348
Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ახალი ამბავი

⁂ ახლად დაარსებულმა სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა უკვე დაიწყო საქმეების წარმოება. ამ დღეებში ბანკმა თავის დამფასებელი გაგზავნა ბორჩალოში „გიაურ-არხის“ დასაფასებლად. ეს მამული წინად მამუკა ორბელიანის მემკვიდრეებისა იყო, ხოლო ეხლა-კი თ. დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის ეკუთვნის. პატრონები ნახევარ მილიონზე მეტად აფასებენ.

⁂ ამ დღეებში, როგორც ამბობენ, ახალგაზრდა მექიანურე პ. ი. ტერ-ასატუროვი კონცერტს გაჰმართავს სახელმწიფო თეატრშიო. ტერ-ასატუროვს პარიჟის კონსერვატორიაში შეუსწავლია მუსიკა.

⁂ მთავრობას გადაუწყვეტია, რომ ამიერიდგან კავკასიასა და იმიერ-კასპიის მხარეში და აგრეთვე იმპერიის სხვა განაპირა ქვეყნებში სამხედრო წოდების კაცები უნდა დაინიშნონ ხოლმე სამოქალაქო საქმეების გამგედაო.

⁂ ზ. ფრიდმანსა და დუბელირს, რომელთაც ამას წინად პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ კანონიერი სასჯელი მიუსაჯა და კიდეც გადაახდევინა ჩხუბისა და აურზაურისათვის, ეხლა ხან კიდევ ქუჩაში ამ ნაირივე საქმე ჩაუდენიათ. დაათვრეს თურმე ერთი სომეხი და შემდეგ ლაზათიანად მიბერტყეს. თავის გასამართლებლად ამ ვაჟბატონებს ის უთქვამთ, რომ ამ სომეხმა ჩვენი ნათესავი ახალგაზრდა 13 წლის ქალი ბ. მოიტაცა და ჯვარი უნდოდა დაეწერაო. ეს ქალის მოტაცების ამბავი მართალია, ამბობს გაზ. „კავკაზი“, სომეხს ორი დღე მართლა ჰყავდა დამალული ვერაზე ეს ქალი და შემდეგ პოლიციის შემწეობით ისევ მშობლებს დაუბრუნდა, და სომეხიც სამართალში იქმნა მიცემული, მაგრა ფრიდმანი და დუბელირი აქ რა შუაში არიან, ეს-კი ღმერთმა უწყის.

⁂ ამ მოკლე ხანში კავკასიას მობრძანდება იაპონიის იმპერატორის მუტც-გიტოს დედა იორიკო კომატშუ. იორიკოს ძლიერ უყვარს ბუნების მხატვრობა და თითონაც კარგადა ჰხატავს. აქ მობრძანებით იორიკომატშუს ჰსურს კავკასიის ეთნოგრაფია შეისწავლოს და აქაური ბუნება დაათვალიეროს.

⁂ გუშინ-წინ, 17 ივლისის, წმიდა მარინეს დღეობას, წმ. მარინეს ეკლესიაში, ავლაბარში, გადახდილი იყო სადღესასწაულო წირვა. მწირველი იყო თვით ეკლესიის მღვდელი ქალაქის ბლაღოჩინი მამა შოშიაშვილი და თანამწირველები ჰყავდნენ: მღვდელი მონასელიძე და ბარნოვი ორის მთავარიითურთ. სწირეს ქართულად და გალობაც ქართული იყო. მლოცავნი ბლომად იყვნენ ეკლესიაში. წირვის შემდეგ მამა შოშიაშვილმა სთქვა ქადაგება და დაწვრილებით უამბო მლოცველთ წმ. მარინეს ცხოვრება. ქადაგება ისეთის გრძნობით იყო თქმული, რომ ბევრს თვალებზედ ცრემლი მოუვიდა. ქართულმა წირვამ, გალობამ და ქართულადვე თქმულმა ქადაგებამ დიდად ასიამოვნა წირვის მომსმენელნი.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის იარმუკის მახლობლივ, კორპუსის ეკლესიის ზემოდ, მაკაროვის სახლებში, სადაც არსებობს ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზია, აქვე ამ მაღაზიასთან ერთს ოთახში ჰმართავენ ქართულს საზოგადო სამკითხველოს, სადაც ყველა მსურველთ შეუძლიან შევიდეს და წაიკითხოს, როგორც წიგნები, ისევე ყველა ძველი და ახალი ჟურნალ-გაზეთები. ამ წიგნთ-საკითხავს თითქმის ყველა ძველი და ახალი ჟურნალები და წიგნები შეუკრებია. გადასახადი ფასი ძალიან მცირე იქმნება დანიშნული.

⁂ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ „დიდი სიბინძურე ჰსუფევს რკინის გზის ახლო-მახლო აშენებულს სახლებსა და ამ სახლების ეზოებში. ამ ალაგას ოთახები და დუქნები ერთი ხუთადა ჰფასობს, თუმცა ისეთია, რომ ხელიკებსა და ჯოჯოებსაც არ დაედგომებათ და არ ეცხოვრებათ. ამას გარდა აქა აქაურს ტრაქტირებსა და ლუდხანებში თითქმის დღე ყოველ ჩხუბი და თავ-პირის მტვრევაა. გუშინ-წინ, მაგალითებრ, 17 ივლისს, დილიდგან მოკიდებული შუადღემდის, სუბოტინის სახლში [illegible]ში თავი მოეყარა რამდენსამე მემაშინეს და ერთი ვიღაც ქალი ისე დაეთროთ, რომ გზას ძლივს იგნებდა. ეს ქალი ეზოში სამი საჟენის სიღრმეზედ ამოთხრილს ორმოში ჩავარდა და დამტვრეული ძლივს ამოიყვანეს. ეს ორმო აგერ ორს კვირაზედ მეტია, რაც ამოათხრევინა სახლის პატრონმა საჭიროების ადგილების დასაცლელად, მაგრამ აქამდე ყურზედ სძინავს და ამოვსებას არ უპირებს. ამ ეზოში წვრილ-შვილი ხალხი სდგას და შეიძლება უბედურება დატრიალდეს რამე, თუ დროზედ არ ეშველა ამ საქმეს.

ის ქალი, რომელიც ორმოდგან ამოვიყვანეთ და ცოცხალ-მკვდარი გავისტუმრეთ სამკურნალოში, ოდესის მცხოვრები მარიამ ლაშჩენკო გამოდგაო.“

⁂ თითქმის ერთსა და იმავე დროს საზღვარ-გარეთის რამდენსამე ჟურნალში დაიბეჭდა კავკასიაში მოგზაურობის „აღწერა. Westermann's Monatshefte“-ში დაბეჭდილია ზეკის მოგზაურობა კავკასიაში და „Harper's Magazine“-ში მელხიორომ დე-ვოგიესი. „Hustuacion Espanola y Americana“-ში დაბეჭდილი სტატია ქართველების შესახებ გერმანელს მხატვარს ზიხელს დაუსურათებია.

⁂ ქუთაისი: ამ რამოდენისამე დღის წინად რიონმა ჩამოატარა ერთი მთლად დედიშობილა, თვალად და ტანად მეტად მშვენიერი ქალი. საბრალოს ხანჯალი აქვს სამგან დაკრული თავში, ძუძუებში და ძუძუებ ქვემოდ. არავინ იცის, ჯერ-ჯერობით, ვინ არის და ვინ არა. არც ის ვიცით, ვინ ჩაიდინა ესეთი საზიზღარი საქციელი. მკურნალების აზრით, ქალი დიდის ხნის გათხოვილი არ უნდა იყოსო. გაიარა ორმა დღემ და რიონმა კიდევ ჩამოატარა გვამი. ამ ხანად კაცისაა, რომელიც მთლად დაჩეხილ-[illegible] გავიგეთ და ჯერაც არ ვიცით, ვინ არის და ვინ არა.

⁂ ბორჯომი: 16 ამ თვისას აქ რუსული წარმოდგენა იყო გამართული სცენის მოყვარულთა მიერ. წარმოდგენიდგან შემოსული ფული დანიშნულია „ტფილისის საერო წიგნთ-საკითხავის“ გასამართავად. წარმოდგენილი იყო ერთ-მოქმედებიანი სადრამო ეტიუდი ვარნეევისა „ერიდეთ ცეცხლსა“ და ერთ-მოქმედებიანივე ვოდევილი „დავიდარაბა ოჯახში“, ფედოროვისა. დივერტისმენტიც იყო, რომელშიაც სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ქ-ნი რუდანოვსკისა. ქ-ნმა რუდანოვსკისამ თავის გალობით დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. წარმოდგენის დარბაზი მაყურებლებით ავსებით აივსო, ასე რომ ტევა აღარ იყო. ყოველსავე ხარჯს გარდა, წმინდა შემოსავალი თორმეტ თუმანზე მეტი უნდა იყოს. დიდი მადლობის ღირსნი არიან მოთავენი ამ წარმოდგენისა: ქ-ნი ვასილევისა, მაღიაშვილის ასული და სხვანი, რომელნიც ასე გულ-მხურვალედ მოეკიდნენ ისეთს წმინდასა და სამადლო საქმეს, როგორიც არის საერო წიგნთ-საკითხავების გავრცელება, ამ მოკლეს ხანში ვაპირობთ აქედამაც ცოტა რამ მივაწოდოთ დაზარალებულ წინამძღვრიანთ სამეურნეო სკოლას.

⁂ გორდი (სამეგრელო): ჩვენი სოფელი მთიან-გორიან ალაგას მდებარეობს, აქ ვაკე ადგილს ძვირად შეხვდებით, მთელს ჩვენს საზოგადოებაში მხოლოდ ერთი საკმაოდ ფართო და ვაკე მოედანია, მთავარ-ანგელოზის ეკლესიასთან, სადაც დიდძალი ხალხი იკრიბება აღდგომის ხუთშაბათს, მთავარ-ანგელოზობას. ამ ადგილის მომეტებული ნაწილი მის უგანათლებულესობის სამეგრელოს [illegible]ხებს ჰკუთვნებია და დანარჩენი კიდევ სხვებს. 1890 წ. ოთხს ივლისს აქ მობრძანდა მიწის გამმიჯნველი, მოხელე და ამის გამო მის უგანათლებულესობას სთხოვეს, ეს ადგილი საზოგადოებას დაუთმეთო. მისმა უგანათლებულესობამ ეს თხოვნა შეიწყნარა, თავის ვექილსა და გლეხებს უბძანა, ადგილი ჩემად არა თქვათო, სხვა მონაწილეებიც დაიბარა, ფული აღუთქვა და ისინიც შეჰპირდნენ, აღარც ჩვენ დავიჩემებთო. მაგრამ, როდესაც ადგილს მიჯნავდნენ, მოვარდნენ ს. გორდს მცხოვრებნი მელიტონ და მი-

ფელეტონი

ქართლის მეფე გიორგი XI

ავღანისტანში*)

(საისტორიო წერილი)

I

1658 წელს ქართლის სამეფო ტახტი დაიჭირა მუხრან-ბატონის სახლმა. ჩვენის წარჩინებულის ისტორიოგრაფ ვახუშტის მოწმობით, მუხრან-ბატონები ბაგრატიონის გვარის ერთ შტოს შეადგენდნენ. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ საქართველო 1469 წ., ჩვენდა სამწუხაროდ, განცალკევდა სამუდამოდ, სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ განაწილდა. ამ დროს ქართლის მეფედ იყო კონსტანტინე, რომლის უმცროსმა შვილმა ბაგრატმა გამოსთხოვა თავის ძმას მეფე დავით VIII „მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვის და ქსნის ხევნი მთიულ-მოხევითურთ თვისსა მორჩილებასა ქვეშე, რომელი არს ერთ საპასპეტოდ ანუ სადროშოდ[1]“. რადგანაც ქართლის მეფე როსტომ ხანი (1634—1658) უშვილო იყო, ამიტომ შაჰის ნება-დართვით იშვილა მუხრანის ბატონი ვახტანგ V, თეიმურაზის ძე, და დანიშნა თავის მემკვიდრედ. იგი გამეფებდა, როგორც წინად ვთქვი, 1658 წელს.

ქართლის მეფე გიორგი XI მეორე შვილი იყო ვახტანგ V, შაჰნავაზად წოდებულისა. ეს უკანასკნელი, საფრანგეთის მწერლის პიესონელის სიტყვით, დროებით შემაერთებელი იყო ქართლ-კახეთისა. როცა იგი ყეენთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა, გზაზედ გარდაიცვალა ქალაქ ნოსკარში 1675 წ. გაიგო თუ არა ეს ამბავი შაჰ-სულეიმანმა, მაშინვე გამოჰგზავნა კაცი და ქართლის მეფის ქონება აწერინა. ეს ქონება, შაჰის ბძანებით, მისცეს ბატონიშვილს ალექსანდრეს, რომელიც დიდი ხანი ისპაანის ტარუღად[2] იყო. ამავე დროს გიორგი XI, რომელსაც ქართლის მეფობაზედ ჰქონდა უფლება, წავიდა ყეენთან და ტფილისს თავისი ძმა ლევანი დასტოვა ქართლის გამგედ. შაჰ-სულეიმანმა არ დაუმტკიცა გიორგის ქართლის ტახტი, რადგან მას უნდოდა ეს სამეფო ერეკლე I-სთვის გადაეცა (ეს იყო შვილის-შვილი თეიმურაზ I (1591—1665). ამ გარემოებით ისარგებლა გიორგის უფროსმა ძმამ არჩილმა და ქართლი დაიპყრო, „არა თუ თვისად“[3], როგორც სამართლიანად ამბობს მემატიანე: არამედ იმ აზრით, რომ ყეენმა უფრო მალე და სწრაფად წარმოავლინოს გიორგი მეფედაო. ამ ამბის მსმენელი შაჰ-სულეიმანი იძულებული შეიქმნა, ქართლის ტახტი მეფე გიორგი XI-ისათვის მიეცა 1676 წ.

საუბედუროდ, ამ გმირს-მეფეს ბევრი მტერი ჰყავდა. ერთის მხრით მას ებრძოდა კახეთის მეფე ერეკლე I და მეორეს მხრით სპარსეთის შაჰი, რომელმაც 1688 წ. კახ-ბატონად გამოჰგზავნა აბაზ-ყული-ხან. ეს ორი ძლიერი მტერი ერთად ჰმოქმედებდა გიორგის წინაამდეგ. 1688 წ., ზაფხულს, გირგი შეებრძოლა აბაზ-ყული-ხანს, მაგრამ ძალიან დამარცხდა. ერეკლემ ტფილისი დაიპყრო, და გიორგი-კი რაჭას წავიდა. რამდენისამე წლის შემდეგ გიორგი მეფემ, ახალციხიდგან ლტოლვილმან, ხელმეორედ დაიჭირა ქართლი. მაგრამ ამის გამეფებამ აქ ბევრს ხანს არ გასტანა, რადგანაც დაუდგრომელი მტერი გიორგისა ერეკლე I მოსვენებას არ აძლევდა. სპარსელების შემწეობით ერეკლე ტფილისის ციხეში ხელმეორედ შევიდა, გიორგი-კი გამაგრდა მცხეთას, მაგრამ ეს ადგილიც მალე დაუთმო მტრებსა და დადგა კლდე-კარს, სადაც ერეკლესაგან, დამარცხებულ იქმნა 1695.

ამ გვარად თუმცა დიდი ხანი ებრძოდა გიორგი XI ერეკლე I-ს, მაინც ვერ დაამარცხა, აგრეთვე დიდს წინააღმდეგობას უწევდა სპარსეთის შაჰსა, მაგრამ ვერც ამას დააკლო-რა, და პირ-იქით თვით დამორჩილდა კიდეც. რაკი გამოსცადა მრავალჯერ და თავი ვერ დააღწია მტრებს, იგი ადგა, ისპაანს წავიდა და ყეენს თაყვანი სცა მორჩილების ნიშნად. ამ გარემოებით ისარგებლა მოხერხებულმა და გაიძვერა ერეკლე I-მა და ქართლი სრულიად დაიპყრო, ხოლო ლევანი-კი, მეფის ძმა, გააგდო იმერეთს. ამ დროს სპარსეთის შაჰად იყო სულეიმანის

---

*) მეფეების სია მუხრან ბატონების ოჯახიდგან, ვახტანგ V ანუ შაჰ-ნაოზ II, (1658—1676). მისი შვილები: არჩილ, გიორგი XI (+ 1709) ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, სოლომონ, ანუკა, თამარ. შვილები ლევანისა: ქაიხოსრო (+ 1711), ვახტანგ VI (1703—1737), იასე, სვიმონ, თეიმურაზ, ხვარამზე. შვილები ვახტანგ მე-VI: ბაქარ (1757), გიორგი, თამარი (დედა ერეკლე II), ანუკა.

[1] „კვალად იტყვიან მიერ ჟამითგან იქმნა ქართლი ოთხ-სადროშოდ“ (ქარ. ცხ. II, 17 ფ).

[2] ტარუღი ანუ დარუღა—ზედამხედველი ხორაგის ვაჭრობისა. ჩვენში ამ გვარ მოხელეს „ნაცვალი“ ეწოდება.

[3] ქარ. ცხ. II, 59 ფ.

სი ძმა მღვდელი ნესტორ ჩიხლაძეები და ასტეხეს ერთი აყალ-მაყალი, ადგილში მონაწილეობა ჩვენც გვიდევსო. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ, მელიტონმა გლეხს დიმიტრი მიქელის ძეს ჩიხლაძეს რევოლვერი ესროლა, მაგრამ იმას ასცდა და ერთს 90 წლის მოხუცებულს გლეხს, სიმონ ყურაშვილს, თეძოში მოხვდა. მელიტონი და მისი ძმა მღვდელი მაშინვე გაიქცნენ, ხალხი გამოუდგა, მაგრამ ვერ დაეწიენ. ცოტა ხანს შემდეგ მელიტონი, შეიარაღებული, ისევ მოვარდა, ცოფიანს მხეცსავით ტრიალობდა ხალხში და ყველას მოკვლას ემუქრებოდა. ხუთას კაცში ვერავინ ხმა ვერ გასცა. მამასახლისიც იქ იყო, მაგრამ ისიც ისე შეშინდა, რომ ვერაფერი განკარგულება ვერ მოახდინა. ამის გამო მიწის მმიჯნელმა იმ ველის გამიჯნვას თავი დაანება და ხალხიც გაიფანტ-გამოიფანტა. დაჭრილი მოხუცებული უკანასკნელს დღეშია. მისმა უგანათლებულესობამ მკურნალთან აფრინა კაცი, მაგრამ, მორჩება თუ არა, ღმერთმა იცის.

⁂ სოფ. აკურა (კახეთი): ივლისის 6 მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი მობრძანდა აკურის წმ. ილიას ეკკლესიაში, სადაც ადგილობრივი მღვდელი თავის მრევლით პატივისცემით მიეგება და მიესალმა. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მისმა მეუფებამ შემოიხმია გარს ეკკლესიის მრევლი, კაცი და ქალი, და მისცა ადვილად გასაგების ენით დარიგება. გიყვარდეთ ღმერთი და ურთიერთიო, ლოცვასა და ღვდის-მსახურებაში ატარებდეთ კვირა-უქმესაო, აღზრდიდეთ [illegible] რე სამრევლო სკოლებშიო. სამრევლო სკოლა გაქვთ გამართული და შემწეობას-კი არავითარს არ აძლევთო. დიდი შემწეობა არა უნდა-რა, მხოლოდ რიგიანი ოთახი ააშენეთ და მოაწყვეთ სასკოლოდაო. დიდხანს ემუსაიფა ყოვლად-სამღვდელო და ჩააგონა ხალხს სკოლის სიჭიროება, ხალხმა მადლობით გააცილა თავისი მწყემს-მთავარი აკურიდამ.

⁂ სიღნაღი: კარგა ხანია, რაც ქართული წარმოდგენა ვეღარ გავმართეთ. წარმოდგენის გამართვას, რასაკვირველია, გარჯა და თავ-გამოდება უნდა და ჩვენ-კი მზად გამართულ წარმოდგენაზედ დასწრობაც არ გვეხალისება; ფიქრადაც არ მოგვდის დავეხმარნეთ იმათ, ვინც ამისთანა კეთილ საქმეს მოიწადინებენ ხოლმე. ვინც ქართულის წარმოდგენების გამართვას თვალ-ყურს ადევნებს ჩვენში; შეამჩნევდა, რომ მთელ ჩვენ საზოგადოებაში მარტო ერთად-ერთი ადამიანია, რომელიც ამ საქმისთვის არავითარ შრომას არა ჰზოგავს. ეს ადამიანი გახლავთ კნ. ნინო ანდრონიკაშვილი. ეხლაც იმათის თაოსნობით იმართება ქართული წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“. იმედია, ჩვენი საზოგადოება დაეხმარება წარმოდგენის მოთავეს და ბლომადაც დაესწრება თავის წარმოდგენას, რათა თვითონაც ისიამოვნოს გონივრულის დროს გატარებითა და კეთილსა და ფრიად სასარგებლო საქმესაც წერა-კითხვის გავრცელებისას თითო-ოროლა შაურით შეეწიოს.

⁂ ივლისის 16 პოლიციის მეცხრე ნაწილში, დილის 4 საათზე ვარანცოვის ძეგლთან, გენერალ ლიხოტინსკის სახლში, ლიხოტინსკისავე მოსამსახურეს შორაპნის მაზრის სოფ. წირქვალის მცხოვრებელს ლუარსაბ გაფრინდაშვილს შერჩეულის გასაღებით ყუთი გაუტეხეს და წაიღეს სამი ვექსილი, ერთი 165 მანეთისა, მეორე 150 მან. და მესამე 35 მან. წაიღეს აგრეთვე ფულად 18 მან. და სხვა-და-სხვა ნივთეულობა 27 მან. 50 კაპ. ქურდი ნაქურდალითურთ შორაპნისავე მაზრის სოფ. ზესტაფონის მცხოვრებელი აქსენტი წერეთელი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

◆◆

უმაღლესი ბრძანება

(დასასრული*)

10) სამეგრელოს მცხოვრებლებმა, რომელთაც ამ კანონით უფლება ეძლევა, მი- [illegible] რიცხონ მათში, უნდა მიჰმართონ ამა საგანზე ქუთაისის თავად-აზნაურთ კრებას („საბრანიეს“) და წარადგინონ გარდა ზემოხსენებულის საბუთებისა მასზედ, რომ აქვთ უფლება თავადისა ან აზნაურის ღირსების მიღებისა, კიდევ შემდეგი:

ა) მოწმობა ქუთაისის საგუბერნიო მთავრობისაგან და თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან მასზედ, რომ არც ერთს მათ წინაპარს, დაწყებული იმისგან, რომელსაც თავადობისა ან აზნაურობის ღირსება ჰქონებია, არ ჩამორთმევია ეს ღირსება სასამართლოს გარდაწყვეტილებით, და ბ) კვიტანცია იმისა, რომ ადგილობრივს ხაზინაში შეუტანია გადასახადი მოწმობებისა: თავადის ღირსებაზე 30 მან. და აზნაურის ღირსებაზე —20 მან. თითოზე.

11) მე-10 მუხლში მოხსენებულს სამეგრელოს სამთავროს მცხოვრებლებს, რომელნიც 5 წლის განმავლობაში ამა კანონის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ არ დაიწყებენ თავადისა ანუ აზნაურის ღირსების ძიებას და აგრეთვე მათ, რომელიც უარს მიიღებენ ძიებაზე, თუ ეს უკანასკნელნი განთავისუფლებულნი არ იქნებიან ხარჯისაგან ანუ თავისის წოდებისა და ანუ სამსახურისა გამო, ხარჯი შეეწეროთ ისე, როგორც ქუთაისის გუბერნიის გლეხებსა აქვთ შეწერილი, ხოლო არც 5 წლის შემდეგ აღეკრძალებათ, ეძიონ ამა კანონის ძალით ღირსება თავადისა ანუ აზნაურისა.

12) ყოველივე გარდაწყვეტილება ქუთაისის თავად აზნაურების დეპუტატთა კრებისა («საბრანიის») შესახებ სამეგრელოს და სვანეთის მფლობელთა და სამეგრელოს მთავარ-გრიგოლთან ერთად ფიცის დამდებთა (მუხ. 1) შთამომავლობის ჩარიცხვისა თავად აზნაურთა შორის და აგრეთვე შესახებ სხვებისაც (მუხ. 3 და 11), გაეგზავნება უმართებულესის სენატის გეროლდიის დეპარტამენტსა განსახილველად და საბოლოოდ დასამტკიცებლად წესისამებრ.

13) სამეგრელოს თავადები და აზნაურები, რომელნიც დამტკიცებულნი იქნებიან რუსეთის იმპერიის თავად-აზნაურებად, მიეწერებიან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურებს და ჩაიწერებიან მათსავე გვარ-ტომობის წიგნში, თავადები მეხუთე განყოფილებაში და აზნაურები პირველში—გარეშე საქმეთა მინისტრს მინდობილი აქვს, შეადგინოს იმ საბუთების ძალით, რომელიც ამავე სამინისტროს არხივებშია დაცული, დაწერილებითი სია იმ თავადებისა და აზნაურებისა, რომელთაც ფიცი მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობისა სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელს მფლობელს გრიგოლთან ერთად, და წარადგინოს ორი კანონიერად დამტკიცებული პირი ამ სიისა უმართებულესის სენატის გეროლდიის დეპარტამენტში, რომელმაც ერთი პირი ამ სიისა უნდა გაუგზავნოს ქუთაისის თავად-აზნაურების დეპუტატთა კრებასა („საბრანიესა“).

მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ეს სახელმწიფოს საბჭოს მიერ 1890 წელს 17 აპრილს დადგენილი აზრი კეთილ ინება და უმაღლესად დაამტკიცა.

◆◆

დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭა, 10 ივლისი. ყველას გაუგონია უწერის მჟავე წყლების ამბავი და მისი სარგებლობა, მაგრამ რა სნეულებას უფრო უდგება და ჰკურნავს, ის-კი დაწვრილებით, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით გამოუკვლეველია. რამდენადაც ამ ჟამად აქ მყოფი საზოგადოება, რასაკვირველია, მეაგარაკენი, აკვირდება ამ შესანიშნავს წყალს (მჟავე და შუშხუნაა), იმდენად უფრო რწმუნდება, რომ საგანგებოდ მოქმედებს კუჭით ავადმყოფებსა და ბუასილიანებზე, აგრეთვე იმათზე ვინც ციებით არის დახაშმული, გაფიჟვინებული და გაყვითლებული. როგორც-კი დალევს ავადმყოფი ზომაზე ამ წამალს, ნახევარ საათს შემდეგ აფალარათებს და სწმენდავს სტომანქში. საწყალი სოფლის გაუგებარი გლეხის დედაკაცები უზომოდ სმენ და უარესად დაავადმყოფებულნი ბრუნდებიან სახლში, რადგან მრჩეველი არავინ ჰყავთ. რომელ ავადმყოფზედაც ძლიერ მოქმედებს ეს მჟავე წყალი, რკინის მჟავე წყალს მიაშურებს, დალევს თუ არა ნახევარ სტაქანს, მაშინვე უსპობს ფალარათობას, უმაგრებს კუჭს და აყენებს ისევ თავის დონეზე. ვისაც ტანში ყაბზობა აქვს, რძეს ურევს ნახევარზე ამ წყალს, და ერთის საათის შემდეგ მოქმედებს ასე შეზავებული სასმელი.

სწორედ ყურადღების ღირსია ყველასაგან ეს წყლები. მთავრობამ უნდა იზრუნოს ამ საუცხოვო აგარაკის ჰიგიენურად მომართვისათვის, რომ მით დაიხსნას ამდენი აქ მოსული ავადმყოფი უარესისაგან. აქ მოსულნი დიდს გაჭირებას ითმენენ უბინაობისა და უსახლ-კარობის გამო.

ბუნებას კი დიდად მოუმართავს ხელი და კოპწიად შეუმკია აქაურობა. ირგლივ არტყია მაღლობი მთები ნაძვნარისა, შუაზე ჩამოუდის რიონი, გაღმა-გამოღმა მჟავე წყლები ამოჩუხჩუხებს კლდეებიდამ, ხოლო რიონის მარჯვენა მხრით, სადაც მოფოხვილი სახლებია გამართული, პატარა დაავაკებაა. ერთის შეხედვით მოგაგონებთ ბორჯომის ხეობას, და, ჩემის აზრით, ფილტვებით დაუძლურებულთაც უნდა მოუხდეს აქ სეზონის გატარება. ძლიერ სამადლო საქმე იქნება, რომ მთავრობა აქ ადგილის მეპატრონეებს უგეგმოდ სახლის აშენების ნებას არ მისცემდეს.

ის ადგილი, სადაც მჟავე წყალი ამოჩქეფარებს კლდიდამ, ეკუთვნის ერთს აქაურს მემამულეს. ამ კაცმა დიდის ვაი-ვაგლახით იგდო ხელში ეს სადაო ადგილი და დაუყონებლივ მიჰყო ხელი მის განკარგებას: გაფანტულს მჟავე წყალს თავი მოუყარა, გააკეთა პატარა აუზი, გაუკეთა ონკანი (**кранъ**), და პირველად რომ ხუთი წუთი მოუნდებოდა ერთი ჩაის სტაქნის ავსებას, დღეს, ორი საათის განმავლობაში, ორას კაცზე მეტს ისტუმრებს, მხოლოდ უწინდებური ბული და ძალა აღარ აქვს, მაგრამ მაგიერად უფრო სჭრის. ბული, ჩემის მოსაზრებით, მიტომ დაჰკლებია, რომ ვიღაც გლეხს გარშემო ნაძვნარის ტყე მოუსპია ამ საგანგებო წყლისათვის და მემამულე ახლა ისევ აპირებს ნაძვნარის გაშენებას. ამასთანავე გაგვიკეთა იმ წყალთან მისასვლელი ერთის საჟენის სიფართე გზა და თან ავადმყოფების დასასვენებელი მერხულებიც გაამწკრივა ამ გზაზე, რომ ყველას დაუღალავად შეეძლოს წყალზე მისვლა. ეს ჩვენი მოძმე, ამდენ მოწყალებასთან, ბევრს რამეს გვპირდება მომავალის წლისათვის. ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ბაჟიც დაგვიწესა წყლით სარგებლობისათვის, მაგრამ ძლიერ შეღავათიანი—კაცის თავზე დღეში 5 კაპ. ამ ფასად, რამდენიც გნებავთ, მიირთვით წყალი. წყლის ამომსები და მიმტანიც დააყენა, თან გაგვიკეთა მშვენიერი და კოხტა საჩრდილობელი.

ზემოდ მოხსენებული მჟავე წყალი არის, როგორც ვსთქვით, რიონის მარცხენა მხრით, ხოლო მარჯვენით რკინის წყლები და რკინის წყლისავე აბანოა ხის როფებით. ბაჟი აბანოთი სარგებლობისათვის 30—40 კაპ., მაგრამ ეს მხარე გლეხ-კაცის გ. მეტრეველისა არის და პატრონი მისი სრულიადაც არ ჰფიქრობს, რომ კარგად გაჰმართოს იქაურობა და ქირაც მეტი აიღოს. თუ ფრთხილად არ არის კა-

შვილი—ჰუსეინი, რომლის ყეენობის დროსაც სახელმწიფოთა ავ-კარგიანობის საქმეში გიორგი XI მეტად დიდს მონაწილეობას იღებდა: აი ეს ამბავი უფრო წვლილად რაში მდგომარეობს.

II

ავღანისტანში, ქალაქ ყანდაარს, დიდი არეულობა მოხდა. ჰუსეინ-შაჰი ამ საშინელ აჯანყების გამო დიდს განსაცდელში ჩავარდა, რადგან კარგადა ჰგრძნობდა თავის უძლურებასა და სისუსტეს. აი სწორედ ამ დროს გიორგი XI თითქმის მთელს მცირე აზიაში ცნობილი იყო, როგორც დიდად ნიჭიერი, სამხედრო საქმეებში გაწვრთნილი და დახელოვნებული სარდალი, თუმცა-კი გიორგის ბედი სრულიად ხელს არ უმართავდა, ის ბედი, რომელიც ყოველთვის უფრო მაშინ დაბრმავდება ხოლმე, როდესაც სიმართლისამებრ უნდა ამოუჩინოს შემწეობა მეფეებსა და ღვაწლის შესაფერად მოეხმაროს 4)

ჰუსეინ-შაჰმა მოიწვია გიორგი და დანიშნა იგი სპარსეთის ჯარის სპასალარად არეულობის დასამშვიდებლად, რადგან „რა ჟამს აღსდგნენ ბულუჯ-აზარანი და ავღანნი, ესენი მეგობრობით არბევდნენ სპარსელებს ქირმანით 5) იეზდამდე 6) და რავდენ გზის წარავლინა ყეენმა სპანი და სარდალნი, მარადის იგინი მძლე იქნებოდიან: ამისთვის აიძულებდა ყეენი გიორგი მეფესა, რათა განაგოს საქმე ესე და მიანიჭოს კვალად ქართლი. არ ინებებდა მეფე, არამედ ქართველნი იყვნენ მისთანა, ევედრებოდენ ყოფად ამისა“7). 1699 წ. 20 ნოემბერს ყეენმა მშვენიერი ნადიმი გაჰმართა და გიორგი დაიპატიჟა, შაჰი მხიარულად დახვდა სტუმარს, მოცინარის პირით, და თავის გვერდით დაისვა; ღვინო თავის ხელით უბოძა; ბევრი ილაღობეს და მხიარულად ატარებდნენ დროს, მაგრამ—ამბობს სეხნია ჩხეიძე—მეფის ხუმრობასა და სიტყვის სიმარჯვეს არა გაეწყობოდა-რაო. უბოძა ყეენმა ქირმანის ბეგლარბეგობა 8) და დაარქვა სახელი მამისა შაჰ-ნაოზ. არად ინება გიორგიმ ქირმანი, რადგან საქართველოს პატრონი იყო, ქირმანი იუკადრისა და უარი მოახსენა, მაგრამ არ მოეშვა შაჰიდ, მაგრად დაუჭირა ხელი არა გაეწყობოდა-რა 9)... გიორგი დაჰმორჩილდა. ახალს სარდალს, სპარსეთში გურგენ ხანად წოდებულსა, როგორც ვსთქვით, აჯანყებულნი ბულუჯნი და ავღანელნი უნდა დაემშვიდებინა.

ჯერ პირველად გიორგიმ და იმის ძმამ ლევანმა ქირმანისაკენ გაილაშქრა. ვახუშტის თქმით, შემოიკრიბნა გიორგიმ სპანი ქირმანისანი და ქართველნი, ვლო უდაბნო ძნელი და უწყლო; მოეწია აჯანყებულთ. მხილველნი იგინი განმაგრდნენ კლდეგორათაზედა. მაშინ გიორგიმ ამ ნაირად განყო თავისი ჯარი: ერთ კერძოდ გამაგრდა ლევანი ქართველთ რაზმით, მეორე ალაგას გამაგრდნენ ქირმანელნი, თვით მეფემ-კი ამ ორთავე ჯარის შუაგული ალაგი დაიჭირა. ფიცხლად მიეტევნენ და შეუხდნენ ქართველნი მტრის ბანაკშია; ბევრი შემუსრეს და მოსწყვიდეს სრულიად. ამის შემდეგ გიორგი წავიდა ქირმანს. ყეენმა დიდი მადლობა გადაუხადა ქართლის მეფეს: მეფის ძმას ლევანს უბოძა მსაჯულთ-უხუცესობა ერანისა და ქაიხოსროს—ტარუღობა ისპაანისა. გიორგის მეორედ დაუმტკიცა ქართლი, ერანის სპასალარობა და ყანდაარის 10) ბეგლარბეგობა. ამასთანავე ყეენმა მისწერა ერეკლე I: „მიეც ქართლი გიორგი მეფესავე, ხოლო შენდა მომინიჭებიეს კახეთიო“ 11). ქართლის გამგედ დაჯდა ტფილისს ვახტანგ VI, ლევანის შვილი, რადგან ყეენისაგან გიორგის მოუვიდა ბძანება, რომ საჩქაროდ წადი ყანდაარს და საქმეები მოაწყე და მოარიგეო. 1703 წ. მაისს მეფე გიორგიმ უშიშრად გასწია ქირმანიდგან ყანდაარს: იმას 20,000 სპარსელი ჯარის-კაცი ჰყავდა და ამასთანავე მეტად სახელოვანი ქართველი ცხენოსანი რაზმი. გზაზედ ჯარმა ბევრი ვაი ვაგლახი გამოიარა. ისეთი ალაგები დახვდათ, რომ იმ გზით არავის არ გაევლო. წყალი ისეთის გემოსი ყოფილიყო, როგორც მლაშე თევზის წვენი, „მაგრამაო, ამბობს სეხნია ჩხეიძე: სიცხის ამბავი რის შესადარებელი მოგახსენოთო, ან გაძლეცი, უცბად გაცივდება, რადგან ყო-

---

*) იხ. „ივერია“ № 152 და 153.

4) ამას ამბობს პეისონელი აჩელ ბეგის შესახებ. ჩემის აზრით, ესევე ითქმის გიორგიზედაც.

5) ქირმანი—სპარსეთის ქალაქი და პროვინციაა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ეს პროვინცია მდებარეობს ავღანისტანის საზღვარს ახლოს.

6) იეზდ—სპარსეთის ქალაქია.

7) ქარ. ცხ. II, 68.

8) ბეგლარბეგი—მმართველი, გამგებელი სპარსეთის პროვინციისა—გუბერნატორი.

9) საქართველოს ცხ. სეხნია ჩხეიძისა 313 ფ.

10) ყანდაარი—ქალაქი და პროვინცია სამხრეთ ავღანისტანისა. ეს ქალაქი მდებარეობს ქირმანიდგან 800 ვერსის მანძილზედ.

11) ქარ. ც. II. 69 გ.

ველის მხრით ქარი შედის აბანოს ოთახში და, თუ სანთელი არ აინთე, დღე ვერას დაინახავ, ისე ბნელა შიგ.

დღეს აქ საზაფხულოდ სხვა-და-სხვა მხრიდამ დიდძალი საზოგადოება არის შეკრებილი. ვინ გინდათ, რომ არ იყოს აქ: მეგრელი, გურული, შორაპნელი, რაჭველი, იმერელი (ქვემო იმერეთიდამ), რუსი, ოსი და რამდენი სხვა; ერთის სიტყვით, იმდენი ხალხი მოაწყდა წელს ამ უწყრის აგარაკს, რომ ბინა დიდად გასჭირდა და ხშირად ავადმყოფები ცის ქვეშ ათევენ ღამეს. ამდენი ავადმყოფი, ამდენი ხალხი, თავადი და აზნაური, გლეხები და მოხელეები იმყოფება ამ ჟამად აქ და არც ექიმი, არც წესიერების დამცველი არსადა სჩანს. ავადმყოფებმა არ იციან, როგორ და რა ზომით სვან მჟავე წყალი და რკინისა ან როდის მიიღონ ვანა. ისე არეულ-დარეულად, ერთი მეორის რჩევით, ღვთის ანაბრობაზე სარგებლობენ წყლებით და აბანოთი, და თუ მოუხდა, ხომ კარგი, თუ არა, და ბრუნდებიან სახლისაკენ.

აგარაკად მყოფი ო. მ.

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გიმნაზიის პროგრამათა შეცვლის ამბავს თითქმის ყველა რუსეთის გაზეთი ცოტად თუ ბევრად სიამოვნებითა და სიხარულით შეეგება. მხოლოდ ი. მეშჩერსკი უწინდებურად ალმაცერად უყურებს ამ სწავლა-განათლების მომთვენელს დედა-ბუდეთ და დიდის სიამოვნებით ამოაგდებდა ძირიან-ფესვიანად, შეძლება და ძალა რომ ჰქონოდა. საერო განათლების სამინისტროს მიერ შემოღებულ ცვლილებათა შესახებ თ. მეშჩერსკიმ თავის გაზ. „Гражданинъ“-ში ორი წერილი დაჰბეჭდა: ერთი ვიღაც „პედაგოგისა“ და ერთიც თავისი საკუთარი. ორივე პუბლიცისტი იმ აზრისაა, რომ გიმნაზიები ჩვენ ხეირს არას დაგვაყრის, ცვლილებათა შემოღება არას გვიშველის და არას დაგვეხმარებაო. თ. მეშჩერსკის სიტყვით,

> გიმნაზიები ერთმანეთს ეჯიბრებიან და ჯიბრისათვის ახალს გეგმას იგონებენ, აქეთ-იქით ეცემიან, თავებს იმტვრევენ, დიდ-ძალს ფულსა, შრომასა და დროსა ჰკარგავენ და მაინც-კი საქმე ნაყოშადა რჩება, წინ არ მიდის, სიკეთე არა ეტყობა-რა: ზოგი გიმნაზია, შედარებით რომ ითქვას, ჰყვავის, ზოგი-კი მიმჭკნარ-მიყვითლებულია და უბედურ სიცოცხლეს აღონღიალებს. ყველა იმ აზრისაა, რომ ასეთი სივაგლახე გიმნაზიების პროგრამის ბრალია, ან დირექტორისა, ან მასწავლებლისა, ან არა, სულ სახელმძღვანელოების მიზეზით. ეძებენ სახსარს, ხან აქ წაუკრევენ ხოლმე ხელს, ხან იქ, ეს ასე შევცვალოთო, ის ისე მოვაწყოთო, მაგრამ მაინც-კი არა გამოდის-რა.

ორივე ავტორი იმ აზრისაა, როგორცა ვთქვით, რომ ჩვენი გიმნაზიები არ ვარგა და დავხუროთო, მაგრამ სასაცილო ის არის, თუ ამ დასკვნამდე რა გზით უვლიათ პატივცემულ პუბლიცისტებს. ერთი მარჯვნივ მიდის, მეორე მარცხნივ და მაინც-კი შუბლებს მიარტყავენ ერთმანეთს. „Гражданинъ“-ის თანამშრომელის „პედაგოგის“ სიტყვით, ჩვენის გიმნაზიების უვარგისობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამ სასწავლებლებში მარტო თავად-აზნაურობისა და მოხელეების უმაწვილები არა სწავლობენ, მოსწავლეები მეტად ბევრნი არიან და თვალ-ყურს რიგიანად ვერ ადევნებს ადამიანიო. თვით თ. მეშჩერსკი-კი სულ სხვა აზრისაა, იმის სიტყვით:

> უმთავრესი საბაბი გიმნაზიების უვარგისობისა ის არის, რომ უმაწვილეკაცობა, მოსწავლობა არა ჰკმარის გიმნაზიებისათვის, ესე იგი, სხვა სიტყვით რომ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, გიმნაზიები მეტად ბევრია ჩვენის საზოგადოებისათვის, იმდენი მოსწავლე არსად მოიძებნება, რამდენსაც ჩვენი გიმნაზიები დაიტევდაო.

აბა ეს არის, აი ერთსა და იმავე დროს „ჰოს“ თქმაც და „არასიც“. ერთი ამბობს, რომ უნდა დავხუროთ გიმნაზიები, მოვსპოთ, რადგან მოსწავლეები მეტად ბევრნი არიანო; მეორე ამბობს—დავხუროთ გიმნაზიები, რადგან მოსწავლეები ცოტანი არიანო, ორივენი-კი მაინც გიმნაზიების დაკეტვას ამჯობინებენ. ერთის სიტყვით, თუნდა გახიე, თუნდა გაფხრიწე, სულ ერთიაო; რა გზითაც გინდა, იმ გზით იარე, ოღონდ-კი რომ მიადექიო!

* *

ქუთაისის საბჭოს ტყუპი ჰყოლია და ამ ტყუპის მეორე ცალი პეტერბურგში ყოფილა. როგორც მოგეხსენებათ, შარშან თუ შარშანწინ ქუთაისის საბჭომ ერთს მამასა და ორს შვილს, ცოფიანის ძაღლის მიერ დაკბენილთ, თუმანი გადაუწყვიტა, წადით და ამ ფულით თავი განიკურნეთო. სწორედ ასეთი გულ-უხვობა გამოუჩენია პეტერბურგის საბჭოსაც. გაზეთ „День“-ის სიტყვით,

> 72 წლის მოხუცი დიდხანს ჰმსახურობდა პეტერბურგის ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსად. ეს მოხუცი რამდენისამე წლის განმავლობაში ებრძოდა ცეცხლსა და ქარს, ადამიანთ სიკვდილიდგან იხსნიდა, სახლებს გადაარჩენდა ხოლმე ცეცხლის შეუბრალებელს ალს და ამ დროს ზოგჯერ დამავებულა, ზოგჯერ დაჭრილა და სასიკვდილოდ გაუწირავს თავი. ბოლოს თვალის სინათლეც დაჰკარგა და იძულებული შეიქმნა, თხოვნა შეეტანა, რომ დამითხოვეთ სამსახურიდგანაო. მშვიდობიანად უნდოდა გაეტარებინა თავისი უკანასკნელი დღენი თავის მოხუც მეუღლესთან ერთად. შეძლება ცხოვრებისა, რაღა თქმა უნდა, სულ არა ჰქონდა და მუშაობაც ხომ არ შეეძლო და არა. ქალაქის გამგეობამ დააფასა იმის დიდის ხნის სამსახური, მოიწადინა უზრუნველ-ყოფა ამ კაცის მოხუცებისა და დაადგინა, რომ სიკვდილამდე მოხუცს თვეში... 4 მან. და 72½ კაპ. ეძლიოსო.

კაი ფულია, დღეში 16 კაპიკზედ ცოტა ნაკლები მოდის და ეყოფათ ცოლ-ქმართ, კაცის თავზედ თითქმის რვა-რვა კაპიკი. სამ-სამის კაპიკისა პური იყიდონ, ორ-ორ კაპ. ყველი და დანარჩენი ექვსი კაპ. სახლის ქირა მისცენ. ტანისამოსი ხომ არ დასჭირდებათ, რადგან ისე მოხუცნი არიან, რომ იმის გაცვეთასაც ვერ შეიძლებენ, რაც ეხლა აცვიათ. ბაშხათუნ, საბჭოვ, მართლა რომ კარგად გაგიბჭვია და კარგად გამოგიანგარიშებია!..

◆◆

რუსეთი

მკურნალთა საზოგადოებათა შეერთების პროექტი უკვე შემუშავებულია და შემოდგომაზე განხილული იქნება მკურნალთა საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ. ამ პროექტის აზრით ცალკე საზოგადოება მხოლოდ ერთის ან რამდენისამე ავადმყოფობის განსაკუთრებულ მკვლევრებისაგან უნდა შესდგეს და აგრეთვე თავის წარმომადგენლები უნდა იყოლიოს ყველა საზოგადოების საერთო საბჭოში.

— სამკურნალო დეპარტამენტმა თუმცა სამშვიდობო ცნობები მიიღო ისპანიასა და ოსმალეთიდგან ხოლერის შესახებ, მაგრამ მაინც გადასწყვიტა, მოემზადოს და ყოველივე ღონე იხმაროს ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ. ჯერ მხოლოდ საზღვრებზე იქნება მიღებული გასაფრთხილებელი ზომები და, თუ ხოლერამ შემოატანა, მაშინ-კი მთელი დასი გაიგზავნება მკურნალებისა, სადაც-კი ეს სენი აღმოჩნდებაო.

— ვარშავაში ერთი ქალი თავის 7 წლის ვაჟიშვილით დაკარგულა. იმის ქმარი, ვისონსკი, ოდესღაც ძლიერ შეძლებული კაცი ყოფილა, მაგრამ ამ ბოლოს დროს მთელი სარჩო საბადებელი ხელიდგან გამოსცლია. ჩავარდნილა ოჯახი სიღარიბეში და ბევრი გაჭირება უნახავს. ბევრს ცდილა თურმე ვისონსკი, რამე ადგილი ეშოვნა, მაგრამ კარგა ხანი ვერსად ვერა მოუხერხებია-რა. ცოლი მალ მალე ეუბნებოდა თურმე: „მე რომ არ გაწვე კისერზე და არ გაწუხებდე, შენს თავს, როგორც იქნება, მოუვლიდი და შეინახავდიო“. ამ ერთის თვის წინად ვისონსკი კიევში წასულა და ნათესავების დახმარებით მოურავობა უშოვნია, ჯამაგირადაც 2000 მ. დაუნიშნავთ. გახარებული მაშინვე ვარშავაში წამოსულა, რომ ცოლ-შვილი წაეყვანა თან. მაგრამ, დახეთ იმის უბედურებას, აღარც ცოლი დახვედრია და აღარც შვილი. მხოლოდ შემდეგი ბარათი-ღა უპოვნია ცოლისგან დატოვებული: „უპატიოსნება იქნებოდა ჩემის მხრით, რომ, ამაზე მეტი კიდევ შემეწუხებინე. მე და ჩემი შვილი თავიდგანა გშორდებით, რომ უფრო ადვილად შეიძლო შენი თავის რჩენა. ტყუილად ნუღარ დაგვიწყებ ძებნას, ცოცხლები აღარა ვართ, ველარ გვიპოვნი“. ადამიანი ძნელად წარმოიდგენს, ისე დაიწყო გლოვა და წუხილი თურმე ვისონსკიმ, მით უმეტეს, რომ ოთხის დღით ადრე რომ მოსულიყო ვარშავაში, ეს უბედურება აღარ დაემართებოდა. როგორც ბარათის თარიღიდგან სჩანს, სწორედ ამ ხნის დაკარგულები ყოფილან დედა და შვილი.

— ვარშავის პოლიციას ერთი ახირებულის ხელობის დედა-კაცი შეუპყრია ამ დღეებში. ეს ქალი გახლავთ სორა ცვეიბაუმი, რომელიც ბავშვების მოპარვითა სცხოვრობდა თურმე. ქუჩა-ქუჩა დაიარებოდა და პატარა ბავშვებს იტყუებდა თავის სახლში. ხანდახან, თუ ბავშვი ნებით არ წაჰყვებოდა, ძალადაც წაათრევდა ხოლმე შინ. მერე რად უნდოდა ბავშვებიო? იკითხავთ, აი რად: მშობლები რომ ვერ იპოვნიდნენ შვილს, გაზეთებში აცხადებდნენ, ვინც ჩვენს შვილს იპოვნის და მოიყვანს, ამა-და-ამ საჩუქარს მივცემთო. ცვეიბაუმიც, წაიკითხავდა თუ არა ამ განცხადებებს, ბავშვებს მაშინვე მიჰგვრიდა ხოლმე მშობლებსა და საჩუქარს იღებდა. თუ მოხდებოდა, რომ განცხადებაში საჩუქარი არ იყო მოხსენებული, ცვეიბაუმი ყურსაც არ იბერტყავდა და მეორე განცხადებას უცდიდა, რომ ჯილდოც ყოფილიყო დანიშნული. ასე და ამ ნაირად თითო ბავშვზე 8—10 და ხან 20 მანათიც ულია ცვეიბაუმსა. ყოველდღე ამ დედაკაცის სახლში ორი სამი ყმაწვილი მაინც უნდა ყოფილიყო. 6 წლისაზე დიდები არ მიჰყავდა თურმე ამ დედაკაცსა, რადგანაც ეშინოდა, ჩემი სახლი არ დაისწავლონ და არ გამცენონ. როგორც გამოძიებას აღმოუჩენია, სამი წელიწადია, რაც ცვეიბაუმი ამ ხელობას ადგაო.

— ერთის წლის განმავლობაში 7,000 ბავშვი მიუყვანიათ პეტერბურგის საბებიო სახლში. ამათში 400 გარდა, სულ უკანონოდ დაბადებული ყოფილან.

7 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ვარშავაში ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს თოფის წამლით აუფეთქებიათ ვეველბერგის ბანკის კანტორა. ორი კაცი, რომელიც იმ დროს კანტორაში ყოფილიყო, ძლიერ დასახიჩრებულა, მაგრამ სიკვდილით-კი არავინ მომკვდარა. აფეთქებას ცეცხლი მოჰყოლია, მაგრამ ცეცხლის მქრობელი რაზმი დროზედ მოსულა და გაუქრია. ზარალი მაინც დიდი მისცემია ვეველბერგს:

◆◆

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟში ამ თვეის დამდეგს საშინელი უბედურება დატ-

ბა ქართველთა. ზარბაზანი იდვა სევანს, წინა ტყვია გააპტყელეს და დასდევს ზარბაზანზედ, ორ საათს შუადღის უკან სიცხემ ტყვია დაადნო**). თვითონ მეფე იჯდა სევანში და შიგ იდგა საიის ალაჩუხი. გვერდს ედგა საწერელი, მიახლო ხელი და ამოიღო მაკრატელი ისე გაცხარებული, რომ ხელი ველარ გაუყარა ქაღალდის წასაჭრელად“. ბევრის გაჭირების შემდეგ, როგორც იყო, მეფე გიორგი თავის ჯარით მიადგა ყანდაარს 24 თიბათვეს, ძალიან ადვილად აიღო ყანდაარის ციხე, რადგან ამ დროს აჯანყებულთ ჯერ კარგად ვერ გაემაგრებინათო. თანამედროვე მწერლის აღწერით, ეს ციხე მაღალი იყო თურმე და ძირს სამი გალავანი ევლო, ოთხივ-კუთხივ კარი ჰქონდა. ერთის მხრისაკენ წინ ხანდაკი ჰქონდა, ზურგით მინდორი და გრძელი კლდე. ციხის სიგრძე ერთი ალაჯი იყო თურმე. თვით ქალაქი, თავის სასახლეებით, და ბაღებით, მეტად მშვენიერი ყოფილა, მაგრამ საშინელი ცხელი. იქაურის სიცხისაგან კვერცხი, გათქვეფილი და სპილენძის თეფშზე დასხმული, მზისაგან შემწვარიყო; ციხის სალზედ პური მიეკრათ და გამომცხვარიყო...

რა-კი გაბატონდა ყანდაარში მეფე გიორგი, მაშინვე შეუდგა საქმის მართვას, ყანდაარის მამული გაარიგა და ვინც ურჩნი იყვნენ, დაიმონა. მეფე ძალიან სასტიკად ეპყრობოდა აჯანყებულ ავღანელთ. სეხნია ჩხეიძის თქმით: „საითკენაც ურჩნი იყო, ჯარს გაუსევდის; უყვის ყათლამი, ზოგი კლდესა გარდაყარის, ზოგი ცოცხალი დამარხის, ზოგთ კბილები დაამტრის და თავზე დაარჭვის[12]). ამ გვარად ყანდაარის ქვეყანა ძალიან შეშინდა და გარეგნად მშვიდობიანობა ჩამოვარდა. გიორგის სასტიკობამ ორ გვარი, სულ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი, მოვლენა დაჰბადა: ზოგმა, შიშისაგან თავ ზარ დაცემულმა, გიორგის უფლება აღიარა, ზოგმა-კი უფრო დიდი წინააღმდეგობა გაუწია. სხვათა შორის გიორგისთან ხანი სამანდარ და ქალა-ხანი მოვიდნენ მორჩილების გამოსაცხადებლად და ამასთანავე ფეშქაში და მუდარის წერილიც გამოუგზავნეს. სწერდნენ, რომ „რადგან ღმერთს შენთვის ძლევა მოუცია და სახელოვანი ხელმწიფე ამ ქვეყანას გამოჩენილხარ, მიყავ წყალობა და შენი ნახვა მაღირსე. რაც ოდენ შენაცოდვარი მაგ ქვეყანას მიქნია, შემინდევ, მოგართვა ხარჯი, რაც ოდენი დამკლებია“. ყანდაარის სახელოვანი ხანები დროებით მიჩუმდნენ და მხოლოდ შესაფერ დროს ელოდნენ, რომ გიორგის ჯარი ამოეყარათ. ეს დროც მალე დადგა.

III

გიორგის საშინელმა სისასტიკემ სული ამოჰხუთა საბრალო ავღანელებს და მოთმინებისაგან გამოიყვანა. ერთი რაღაც უბრალო გარემოება გახდა მიზეზად ხელ-ახლის აჯანყებისა. ავღანნი აღარ ემორჩილებოდნენ გიორგის. აჯანყებულთა და ქართლის მეფეს ფიცხელი ომი მოუხდათ და ავღანელნი საშინლად დამარცხდნენ. ამ დროს ყანდაარის აჯანყებულის ჯარის წინამძღოლად იყო სახელ გათქმული მირვეისი, რომელიც გიორგიმ შეიპყრო და ყეენთან გაჰგზავნა იმ აზრით, რომ დაეპატიმრებინათ. გიორგი ჰსწერდა შაჰსა, „ეს მირვეისი უარშიობს. უნდა არევა ამ ქვეყნისა; ნუღარ გამოუშვებთო, თვარამ ერთს რასმე მოახდენს“. მაგრამ,—დახე გიორგის ბედს!—სწორედ ამ დროს სპარსეთის სატახტო ქალაქში რაღაც ჭორაობა დაიწყეს გიორგის შესახებ. ქართლის მეფე მალე შეიქნა ამ ცუდის ლაპარაკისა და მითქმა-მოთქმის მსხვერპლად. თავის მანქანებით მირვეისი მალე განთავისუფლდა. მან მოახსენა შაჰსა, რომ მეფე გიორგი თქვენი ერთგული არ არისო და ისიც შესაძლებელია, რომ მალე გიღალატოთო. მირვეისმა დაარწმუნა ყეენი, ვითომც გიორგის ძლიერება საშიშია სპარსეთისათვის და იმისი სასტიკობა ხომ საზიზღარია ყველასათვისო[13]). თავის აზრის დასამტკიცებელ საბუთად მირვეისს შემდეგი გარემოება ჰქონდა.

როდესაც გიორგი XI ავღანისტანში იმყოფებოდა, ერთი სომეხი ვაჭარი ეწვია, სახელად ისრაილ ორიი, რომელიც რუსეთის აგენტად იყო დანიშნული პეტრე დიდის მიერ. ამ ისრაილსა ჰქონდა ვაჭრობის უფლება სპარსეთში. მირვეისმა გაავრცელა ხმა, ვითომც სომეხი-ისრაილ ორიი, ვაჭარი-კი არ არის, არამედ სომეხთა მეფეთა შთამომავალია და განზრახვა აქვს გიორგის შემწეობით საქართველო და სომხეთი აღადგინოსო. ამათა ჰსურთ ამ ორ ქვეყანას პოლიტიკური დამოუკიდებლობა მიანიჭონ და თავიანთის სურვილის განსახორციელებლად იმასაც-კი აპირობენ, რომ სამუდამოდ გაუმეგობრდნენ რუსეთის სამეფოსაო. ამ გვარადაო, ჩასჩიჩინებდა მირვეისი შაჰსა, საქართველო და სომხეთი ადვილად განთავისუფლდებიან სპარსეთისგანაო...

ალ. გარსევანიშვილი

(დასასრული იქნება)

**) ძნელად დასაჯერებელი ამბავია (ავტორი.)

[12] სეხნია ჩხეიძე, 321 გ.

[13] პეისონელი.

რიალებულა. ერთს მიყრუებულს უბანში სცხოვრობდა ერთი საწყალი ოჯახი. ოჯახში სულ რვა სული იყო: დედ-მამა და ექვსი შვილი, უფროსი ქალიშვილი 15 წლისა და სულ უმცროსი შვილის თვისა. წინად ოჯახის პატრონს გაიემს კარგი საქმე ჰქონოდა და რიგიანად აცხოვრებდა თავის სახლობასაო. ჯერ ისევ უცოლშვილო გაიემი წასულა მექსიკაში, იქ უსწავლია ხელობა ხატვისა ქაშანურზე, შეურთავს ცოლი და პატიოსნად მოწყობილა თავისთვის. შემდეგ გამხდარა ავად და, დიდის ხნის ავადმყოფობის გამო, ძალიან ცუდად წასულა მისი საქმე. გაჭირვება და სიტიტვლე-სილარიბე დაუპატიჟებლივ სწვევია გაიემის სახლობას. გაიემს მაინც მოუხერხებია და წამოსულა ამერიკიდამ საფრანგეთსვე, იქნება პარიჟს მსოფლიო გამოფენის მზადების დროს საქმე ვიშოვო, სამუშაო ავიჩინოვო. იმედს არც უმტყუნია. საქმე უშოვია და მისი სახლობა კვლავ რიგიანს ყოფაში ჩავარდნილა. მაგრამ აი გათავდა გამოფენა, საქმე აღარა იყო-რა და გაიემს ისევ ძველებურად გასჭირვებია. რაც რამ ჰქონია, სულ დაუგირავებია და ისე გამოუკვებნია სახლობა ამ თვის პირველამდე. დარჩენიათ მხოლოდ ერთი საწოლი პატარა ტახტი და ისეთი რა გინდა რა, რომელიც არც გაიყიდებოდა, არც დაგირავდებოდა სადმე. პირველ ხანად ნისიად ულია ბაზარში ცოლშვილის სარჩენად საჭირო საზრდო. შემდეგ-კი ნისიადაც აღარავის რა მიუცია, ისე რომ 1 ივლისს მთელი ოჯახი სრულიად ულუკმა-პუროდ და უსახსროდ დარჩენილა. გაიემს უხლია თავი—აქეთ-იქით. ბევრსა ცდილა, მაგრამ ვერსად ვეღარას გამხდარა. ბოლოს, როცა გაუწყდა ილაჯი, დაეცა სულით და სასო-წარკვეთილმა შესჩივლა ცოლს: აღარ შემიძლიან ასეთის ცხოვრების ატანა და უნდა თავს ავუჭეხოთ რამეო. აგრე ვუყოთო, უპასუხნია ცოლს. დედ-მამას შემოუკრებნიათ უფროსნი ქალ-ვაჟნი და აუხსნიათ თავიანთი გაჭირვება და მწუხარება. ისინიც მალე მიხვედრილან, რომ ასეთს სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიანო და გადაუწყვეტიათ ერთად სიკვდილი ყველასა. მეორე დღეს საერო დღესასწაულია თურმე და იმ საღამოს უკვე შეესმათ მხიარული ხმა მუსიკისა და პარიჟის ქუჩებზე მოსიარულე სადღესასწაულოდ მომზადებულის ხალხისა. რა ედღესასწაულებოდათ საწყალ გაიემებს, მაგრამ მაინც გავიდნენ გარედ და გაჰყვნენ ისინიც მხიარულს ქუჩის ხალხს, მაგრამ ადვილად მისახვედრია, რა ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო მათ გულში ამ დროს. აი დაბინდდა კიდეც და სახლობა დაბრუნდა თავისს თავის ღარიბსა და გახრეკილს ქოხში. გაიემმა ორიოდე არაყი გადაჰკრა თურმე ახლო დუქანში, იქნება უფრო გულმაგრად შევხვდე სიკვდილსაო. მედუქნეს უთხრა, რომ ხვალ გადაგიხდი არყის ფასსაო. უფროსმა ქალმა ბერტამ მიირბინა მენახშირესთან და ერთი ხახალი ნახშირი გამოართვა ნისიად. დაღამდა და სახლობამ ძილი დააპირა: დედ-მამა ტახტზე მოეწყვნენ პატარა ძუძუთა ყმაწვილით, ხოლო დანარჩენმა ბავშვებმა ძირს გაიშალეს კონკები და მიწვნენ ერთად ტახტს ახლოვე. ნახშირი მაყალზე იყო დაგროვებული წინდაწინვე და ოთახის კარ-ფანჯარა მაგრა ჩაკეტილი და ჩარაზული. როცა მთელი ოჯახი გონებიერ ძილში ჩავარდა, გაიემი წამოდგა და ფრთხილად გაალვია ნახშირი. საცოდავს კაცს ძილი არ ეკარებოდა. განთიადისას შემოესმა კივილი ერთის შვილისა. წამოიწია და გადახედა ბავშვებს, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა, გადმოვარდა და დაეცა შვილებს სამუდამოდ წუთი-სოფელს გამოსალმებული. სამი დღე და ღამე ასე დარჩა სახლობა. მეზობლებმა შენიშნეს, რომ გაიემები აღარა სჩანანო, შეატყობინეს პოლიციას, გასტეხეს მათის ქოხის კარები, საიდამაც საშინელი სუნი თურმე გამოდიოდა გახრწნილის გვამისა და საშინელი სანახავი იხილეს: მთელი ოჯახი დახოცილი და ცხედარნი ძალზედ გახრწნილიყვნენ. გადარჩენილიყო მხოლოდ დედა, რომელსაც ჩაეკრა გულში უკვე გახრწნილი გვამი პატარა ყმაწვილისა. დედას გული შესწუხებოდა მაშინ, როცა გაიემს დაელვიებინა ნახშირი და ამის გამო ნახშირის ბულს აღარ ემოქმედნა იმაზე. საცოდავს დედაკაცს მაშინვე მოუარეს, დააწვინეს სამკურნალოში და ახლა უკვე გასაღდა ჯანით, მაგრამ საეჭვოა, რომ საღადვე დარჩეს სულით იმ საშინელის, წამებით გატარებულ ღამის შემდეგაო.

მთელი პარიჟი შეწუხებული და თავ-ზარ დაცემულია თურმე ამ საშინელის ამბის გამო: შიმშილით დახოცილთა დასაფლავებაზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მწერლობა აღელვებულია და ამტკიცებს, რომ ამ უბედურობაში დიდი წილი უდევს იმ გარემოებას, რომ შეწყალება და შეწყნარება ღარიბთა და ღატაკთა არ არის კარგად მოწყობილი ჩვენში, ბრალი ამ დანაშაულობაში უქონელთა შემწყნარებელსა და გამკითხველს კომიტეტს უნდა დაედოსო. რას აკეთებდა ამ დროს კომიტეტი, შიშველთა და ტიტველთა შემწყნარებელი? მაშ სად მიდის, რაზე იხარჯება ის მილიონები, რომელსაც მთავრობა აძლევს განსაკუთრებით უქონელთათვისაო? სამართლიანის გულის წყრომით ამბობს ორლეანელების გაზეთი „Soleil“. რადიკალების გაზეთები თხოულობენ, რომ სასტიკი გამოძიება იქმნას დანიშნული ამ საქმის გამოვო. უნდა ვიცოდეთო, ამბობს „Iustice“, ვის მიმართა გაიემმა შემწეობისათვის და რა უთხრეს პასუხად. უნდა ვიცოდეთ რითი, ან როგორ შველის კომიტეტი იმ მოთაკილე და მორიდებულ ღარიბებს, რომელნიც, რაც უნდა დიდს გაჭირვებაში იყვნენ, ვერ ჰბედავენ შემწეობის თხოვნას. უნდი ვიცოდეთ, დადიოდნენ თუ არა სკოლაში გაიემის შვილები და, თუ დადიოდნენ, რა შემწეობა ეძლეოდათ. უნდა ვიცოდეთ, დასასრულ, როგორ მოხდა, რომ იმდენს ხანს ვერავინ ვერ შენიშნა მთელის ოჯახის განწირული ყოფა. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, საფრანგეთში, იქ, სადაც რესპუბლიკაა, პარიჟში, პატიოსანი ხელოსანი კაცი ცოლ-შვილით შიმშილის გამო თავის ნებით თავს უნდა იკლავდეს და არავინ ყურადღება არ მიაქციოს, არავინ დროზე შემწეობა არ მიაწოდოს! საშინელებაა!!“

◆◆

დეპეშა

18 ივლისი

პეტერბურგი. დამტკიცებულია ახალი დებულება, უნტერ-აფიცრობის წოდების დაბალთ ჯარის-კაცთა შესახები, იმ ჯარის-კაცთა, რომელნიც თავიანთ ნებით კვლავ მოინდომებენ სამსახურს ვადის შესრულებით შემდეგ. ახალის დებულებით უფრო მეტად განკარგდება ქონებრივი მდგომარეობა ვადაზე მეტს ხანს სამსახურში დარჩენილ უნტერ-აფიცრებისა და სახელი და პატივის-ცემაც მეტი ექმნებათ სამსახურში. ნაბრძანებია, რომ ახალი დებულება შემოღებულ იქმნას 4 ივლისიდამ.

ბუენოს-აირესი. ბრძოლა მთავრობასა და აჯაყებულთა შორის კვლავ განახლდა.

სენტ-ეტიენი. პელსიეს სამადნო მღვიმე მაღაროში იფეთქა საშინლად ერთად შეერთებულმა ორმა ზომამ წყალ-მბადმა და ერთად მჟავ-მბადმა სწორედ იმ დროს, როცა მუშები ჩადიოდნენ მღვიმეში. 120 კაცი იქმნა მოკლული.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივლისი.

	მყიდველთა.	გამყიდველთა.	გაყიდულია.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	— „	„	6 73
ტამოჟნის კუპონები	— „	„	135 1/2
მანეთიანი ვერცხლის ფული	— „	1 11	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	231 1/4
—მეორისა	—	— „	219 1/4
—მესამისა	— „	— „	215
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	— „	— „	100 3/4
ქუთაისის ბანკისა	— „	— „	100
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	90 „	— „	— „

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
„ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში“
(ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი)
შვილის აღზრდა
პედაგოგიური წერილები
შედგენილი
თეოფილე ხუსკივაძის მიერ.
ფასი 20 კაპ. (3—1)

ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში
იარმუკაზე, რუსის საყდრის ზემოთ,
მაკაროვის სახლებში, ისყიდება
დავრიშიანი
ფასი ორი აბაზი (3—1)

ნიგოითის სადგურთან

მიწყვია დიდ-ძალი შეშა გასასყიდი კოპიტისა, რცხილასი და წიფლისა, დაჭრილი სიგრძით 12 ვერშოკზე. მსურველს შეუძლიან გინდ ნიგოითის სადგურზე და გინდ, სადაც თვით დაიბარებს, მიიღოს ჩემგან შეშა იაფ და რიგიან ფასად.

ნიგოითის სადგურთან მოვაჭრე მახაკ ივანეს ძე ორმოცაძე.
ს. ნიგოითი (ოზურგეთის მაზრა).
(5—3)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში
მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:
ვერმორელის აპარატები
და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.
ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.
„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.
სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა
ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.
ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.
(50—27)


ACT. GES. H. F. ECKERT. BERLIN.
1067

სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი
გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა
ბერლინში
და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული
ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,
მიხეილის ქუჩაზედ, № 117.
ფოლადის გუთნები
ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.
სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).
მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.
ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.
სამკალი მაშინა.
სათიბი მაშინა
ფოცხები, სათესი მაშინები, სარეში და სხვანი.
რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—36)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:
დედა ენა და ბუნების კარი
გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. цепя Тифлисъ, 18-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე